დასკვნა:**დ02.37220731**
თარიღი:**14/03/2022**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის“ კომისიამ, შეისწავლა და განიხილა მოქალაქე დავით ჟღენტის განცხადება ქ. ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის ქუჩაზე სიჩქარის შემზღუდავი ე.წ ,,მწოლიარე პოლიციელის“ მოწყობის აუცილებლობის შესახებ. კომისიის სამუშაო ჯგუფმა ადგილზე გასვლით, შეისწავლა დავით ჟღენტის განცხადებაში მოცემული წინადადების განხორციელების მიზანშეწონილობა და დაადგინა:

1. ქ. ოზურგეთში, ნოდარ დუმბაძის ქუჩის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ იქ ქუჩის მთელ პერიმეტრზე არ არის მოწყობილი ავტომანქანის სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები.

2. ნ. დუმბაძის ქუჩა საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული მონაკვეთია, ავტომანქანების მოძრაობაც ინტენსიურია და არც ქვეითად მოსიარულეთა სიმწირეს განიცდის.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ნ. დუმბაძის ქუჩის კრიტიკულ მონაკვეთებზე აუცილებელია ავტომანქანების სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოება. ფაქტობრივად გამოირიცხება ავტოსაგზაო შემთხვევები

2. ეთხოვოს ოზურგეთის მინუციპალიტეტის მერს, შესაბამის სამსახურებს დაავალოს კონკრეტული წინადადების და რეკომენდაციების მომზადება ნოდარ დუმბაძის ქუჩის პერიმეტრზე სიჩქარის შემზღუდავი ე.წ. ,,მწოლიარე პოლიციელის“ მოწყობის მიზანშეწონილობის შესახებ.

3. მუნიციპალიტეტის მერიამ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი